საბა

2024, იანვარი

საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე
THE MONTHLY BULLETIN OF CATHOLICS OF GEORGIA - SABA

ქრისტეშობა

N1 (337)

სარჩევი

ეპისკოპოსის საშობაო მილოცვა..... 3

რედაქტორის გვერდი ... 4-5

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში..... 6-7

ჩვენი ეკლესია.....8-9-10

ჩანართი:.....I-IV

მშვიდობის გზავნილი 11

სახარების სიხარულის მოწმენი..... 12-13

ეკუმენური გვერდი.... 14-15

კათოლიკური კულინარია 16

საბავშვო გვერდი..... 17

ხსოვნა 18-19

ჩვენი ეკლესიის ცხოვრება

იანვარი

1 იანვარი - ღვთისმშობლობა, მშვიდობისათვის ლოცვის მსოფლიო დღე

6 იანვარი - ღვთის გაცხადება

7 იანვარი - უფლის ნათლისღება

12 იანვარი - იეზუიტ მ. ჰარვეი ლორიერ კროსბის გახსენება (+2016)

18 იანვარი - ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეულის დასაწყისი

19 იანვარი - ერთობლივი ლოცვა ქრისტიანთა ერთობისათვის თბილისში, შერიგების ლუთერულ ტაძარში

21 იანვარი - რიგითი მე-3 კვირადღე ღვთის სიტყვისა

23 იანვარი - ყოვლადწმიდა მარიამისა და წმიდა იოსების ქორწინება

25 იანვარი - წმ. პავლეს მოქცევა, ქრისტიანთა ერთობისათვის ლოცვის რვადღეულის დასასრული, არალში მეშურნეთის ეკლესიის დღეობა

27 იანვარი - წმ. ნინოს, საქართველოში კათოლიკე ეკლესიის მფარველის, წმ. ნინოს დების კონგრეგაციის მფარველის, დღესასწაული

31 იანვარი - წმ. იოანე ბოსკო, სალელ მამათა და დედათა კონგრეგაციების დამაარსებელი

„დიდ სიხარულს გამცნობთ თქვენ... თქვენთვის იშვა...!“

იესო სიხარულია... სახარება კი იესოა. სახარება სიხარულია!

აი, რატომ წერს პაპი ფრანცისკე: „სახარების სიხარული აღავსებს იმათ გულსა და სიცოცხლეს, ვინც შეხვდება იესოს“ (EG 1). სიხარული განუყოფელია სახარებისაგან და იმათგან, ვინც სახარებით ცხოვრობს. ახალ აღთქმაში ხშირადაა ნათქვამი, რომ ქრისტე მოკვდა ჩვენთვის, რომ ქრისტე მოკვდა და აღდგა ჩვენთვის. იქ ნათქვამია, რომ მან იცხოვრა ჩვენთვის, იგი ხვდებოდა, მიუტევებდა, კურნავდა... და ეს — ჩვენთვის. შობაზე, ამ დღესასწაულზე გვესმის, რომ „იშვა ჩვენთვის“. დიახ! თავად დაბადებაც კი სახარებებში აღბეჭდილია თავის მიძღვნით, თავის დახარჯვით, არა საკუთარი თავისათვის, არამედ „ჩვენთვის“ ყოფნით. დაბადებაც კი, მოვლენა, რომელიც გაურბის იმის წინასწარ გადაწყვეტილებასა და ნებას, ვინც იბადება, გააზრებულია, როგორც „მოვლენა რაღაცისათვის“. თითქოს იესო დაბადებიდანვე გამოგლეჯილია თავკერძობას, საკუთარი თავისათვის ყოფნას და განსაზღვრულია სხვებისათვის, განკუთვნილია სხვებისათვის სიცოცხლის სისავსის მისანიჭებლად.

აქედან გამომდინარე, ალბათ, იესოს დაბადებაშია თითოეული დაბადების საიდუმლო, თითოეული სიცოცხლისა, ჩემისაც და შენისაც: ანუ ის, რომ სიცოცხლის სიხარული და საზრისი იბადება საკუთარი თავის დახარჯვიდან და სხვებისათვის ცხოვრებიდან, მადლიერების მოლოდინის გარეშე, იმითი კმაყოფილი, რომ სხვისათვის ხარ და ვერავინ გამჩნევს, ისევე, როგორც იესოს შობა შეუმჩნეველი დარჩა.

რომის იმპერატორის დიდებით მოსილი, გამაოგნებელი და მოძალადე ძალაუფლების წარდგენის წინაშე, რომლითაც იწყება სახარების მონაკვეთი (ლუკ. 2,1-2), ლუკა აცხადებს, რომ ღმერთი ავლენს ჟამთასვლაზე თავის ბატონობას იმ ბავშვის დაბადების „უხილავი“ მოვლენის მეშვეობით, რომელიცაა მაცხოვარი, უფალი ქრისტე. დიდი ისტორიიდან გადავდივართ ყოველდღიურობის ჩვეულ რიტმზე, ძალმომრეობით თავს მოხვეულიდან იმაზე, რაც თვალში არ გეჩრება. ლუკა გვეუბნება, რომ სიმყიფე და არა ძალმოსილება, ჩვეულებრივი და არა უჩვეულო, ადამიანური და არა ზეადამიანური გვიცხადებს ღვთის ყოფნას. ღმერთი, რომელიც უპირველეს ყოვლისა კნინ, უბრალო საგნებშია, იმ შეუმჩნეველ მოვლენათა ძაფშია, რომლითაც იქსოვება ყოველდღიური ცხოვრება. „დიდ სიხარულს გამცნობთ თქვენ“: ანუ, სიხარული სიმყიფეში ყოფილა და არა სიძლიერეში, ჩვეულებრივში და არა არაჩვეულებრივში, ადამიანურში და არა ზეადამიანურში. სწორედ ესაა შობა, სახარება, სწორედ ესაა სახარების სიხარული!

შობას გვესმის: „თქვენთვის იშვა“. ხოლო მე ვისთვის ვარ შობილი?

დაე, გული გადაგვევსოს სახარების სიხარულით: გისურვებ ბედნიერ შობას!

+ეპისკოპოსი ჯუზეპე პაოტო
ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო
ადმინისტრატორი

Nulla dies sine Evangelii gaudium! - არცერთი დღე სახარების სიხარულის გარეშე!

ახალი წელი - ეს ის დროა, როცა მომავალს იმედის თვალით გავყურებთ და გვჯერა, რომ იმაზე უკეთესი იქნება, ვიდრე იყო. ეს ის დროა, როდესაც ჩვენს გონებაში და ჩვენს სულში კეთილი ზრახვები მწიფდება, თითქოს ყველაფრის ახდენა შესაძლებელია და გვინდა, რომ ცუდი გასულ წელს დავუტოვოთ. ეს ის დროა, როდესაც საუკეთესო სიტყვებს ვეძებთ ჩვენი საყვარელი ადამიანების, ახლობელი თუ შორეული მეგობრების საამებლად და კეთილი სურვილების სათქმელად. ცნობილი იტალიელი მწერალი ჯანი როდარი (1920-1980) თავის ერთ-ერთ საახალწლო ლექსში წერდა: „მომიძღვენით სურვილები მთელი წლით: იანვარში აპრილის მზე მინდა; ივლისში გრილოდეს, მარტი არ ანცობდეს მინდა; დღეს ღამე არ აღამებდეს მინდა და ზღვა რომ არ ბობოქრობდეს მინდა; ახლად გამომცხვარი პური მინდა; კვიპაროსზე ატმის ყვავილები მინდა; კატისა და ძაღლის მეგობრობა მინდა; შადრევნებმა რძე რომ მომცეს მინდა; თუ ეს ბევრი სურვილია, არაფერი მინდა, მხოლოდ შენი მომღიმარი სახის ნახვა მინდა“. თითქოს ირეალური მდგომარეობაა, არადა ძალზე რეალური სურვილებია და ძალიან ჰგავს სადღეგრძელოებსა და მილოცვებში გამოხატულ ჩვენს სურვილებს. ასე რომ არ ყოფილიყო, ღირს კი სურვილების მიღება? როგორც არ უნდა იყოს, ფანტასტიკურია ის ფაქტი, რომ ჩვენში იბადება ახალი წლის დაწყების სურვილი: ,,ერთადერთი სიხარული ამქვეყნად დაწყებაა. ბედნიერებაა იცხოვრო, რამეთუ იცხოვრო ნიშნავს დაიწყო, მუდამჟამს, ყოველწამიერად“, - წერდა ჩეზარე პავეზე (1908-1950), იტალიელი მწერალი, რომელმაც

მამა გაბრიელე ბრაგანტინი CSS



სტიგმელი;
ეპისკოპოსის ვიკარიუსი
ეკუმენიზმისა და კულტურის
დარგში; ქუთაისის,
ბათუმისა და ოზურგეთის
საკრებულოთა წინამძღვარი

თავისი ცხოვრება ტრაგიკულად დაასრულა.

ახალი წელი, ასევე, საახალწლო მოვალეობების შესრულების დროც არის! და როგორ? მხოლოდ გარეგნული იერის შეცვლით და სახლის მორთვა-მოწყობით? შეგიძლია შეიჭრა და შეიღებო თმა, დააგემოვნო ჩინური სამზარეულო, შეგიძლია მოხალისედ იმუშაო, გზის პირას დაყრილი ნაგავი აიღო, მოხუცს დაეხმარო გზის გადაჭრაში ან უსახლკაროები გამოკვებო, შეგიძლია ასევე შენთან ერთად რიგში მდგომი ყავაზე დაპატიჟო, ღარიბს ის ტანსაცმელი აჩუქო, არასდროს რომ არ გცმია, სპორტდარბაზში ვარჯიში დაიწყო ან ყოველდღე ირბინო, ახალი ენა შეისწავლო, თავაზიანი იყო უცნობების მიმართ, ნაკლებად გამოიყენო სმარტფონი, მეტი დრო დაუთმო ოჯახის წევრებს, - და როგორ ფიქრობთ, ეს ყველაფერი საკმარისი იქნება? მცირე ცვლილებებმა შეიძლება დადებითი გავლენა მოახდინოს შენზე და შენ ირგვლივ მყოფებზე! ცხადია, შემიძლია ყველაფერი გავაკეთო, რაც ჩემს ცხოვრებას ეხება, ბევრს შეუძლია თავი მიუძღვნას ოჯახს, მაგრამ რას ვაკეთებ მთელი მსოფლიოსთვის, ასეთი ახლობელი და ასეთი მოუხელთებელი რომ ხდება დღითიდღე, რის გაკეთებას ვცდილობ მისთვის, ვინც ომშია, ვინც მშიერ-მწყურვალი კვდება...? როგორ შეიძლება, რომ ჩემში არ წარმოიშვას რაიმე საქმის დაწყების სურვილი?

დაე, ამ ახალმა წელმა საბოლოოდ მოიტანოს პასუხისმგებლობა, სიმტკიცე, სიმშვიდე, უპირველეს ყოვლისა, მოიტანოს სიხარული, რაც სახარების შუქით გვეძლევა, რამეთუ თავად სახარებაა სიხარული: ყოველი მისი ფრაზა, ყოველი მისი სიტყვა, ყოველი მისი „იოტი“. „სახარების სიხარული სრულად აღავსებს ყველა მათგანის გულსა და ცხოვრებას, ვინც იესოს ხვდება... იესო ქრისტესთან ერთად მარადჟამს იშვება და ნახლდება სიხარული“, - წერდა პაპა ფრანცისკე ათი წლის წინათ დაწერილ სამოციქულო ეპისტოლეში Evangelii Gaudium, ამიტომ ამავეს გვთავაზობს ჩვენი ეპისკოპოსი ჯუზეპე.

დიახ, ამ ახალ წელს Nulla dies sine Evangelii gaudium - არცერთი დღე სახარების სიხარულის გარეშე!

რუსუდან ავალიშვილი

800 წლის წინ გრეჩოში

ტრადიციისამებრ, წმიდა პეტრეს მოედანს წელსაც ამშვენებს საშობაო ბაგა და ნაძვის ხე. ბაგის მოწყობის ტრადიცია კი რვა საუკუნის წინ, 1223 წელს, იტალიის ერთ პატარა დასახლებაში, გრეჩოში, დაფუძნდა. წმიდა ფრანცისკე ასიზელის ბიოგრაფი, თომა ჩელანელი ასე აღწერს ამ ამბავს: „უფლის შობის დღესასწაულამდე ორი კვირით ადრე, ფრანცისკემ მოიხმო თავისთან იმ მიწის მკვიდრი, ღვთისმოსავი და პატივცემული კაცი, იოანე და უთხრა: „თუ გსურს, წელს გრეჩოში უფლის შობა ვიზეიმოთ, სასწრაფოდ მოამზადე ყველაფერი ისე, როგორც მე გეტყვი, სამზადისი კი საიდუმლოდ შეინახე. მსურს ვიზეიმო შობა ყრმისა, რომელიც ბეთლემში იშვა, გავიხსენო მისი პირველი დღეების სიმძიმე, ხორციელი თვალით ვიხილო, როგორ წევს იგი ბაგაში, თივაზე, ხარისა და ვირის სიახლოვეს... როცა ის დღე მოახლოვდა... ფრანცისკემ იხილა, რომ ყველაფერი გამზადებულია... ის ღამე დღესავით ნათელი და ტკბილი იყო როგორც ადამიანების, ასევე ცხოველებისთვისაც. ხალხი შეიკრიბა და საიდუმლოს ხილვით აქამდე არნახული სიხარულით გაიხარა. კორომში საგალობლის ხმა გაისმა და ვეება კლდეებმაც ბანი მისცეს. წმიდანი ღვთისა ბაგის წინ შეჩერდა. ღვთიური სიხარულით აღვსილ ღვთისმოსავს ოხვრა აღმოხდა. მერე მღვდელმა ბაგის წინ წირვა აღავლინა და ფრანცისკე აივსო ისეთი ნუგეშით, რომელიც აქამდე არ განუცდია. დიაკვნის სამოსი შეიმოსა, ტკბილი ხმით სახარება იგალობა, შეკრებილებს უქადაგა და მცირე ქალაქ ბეთლემში ღატაკი მეფის შობის ამბავი მოუთხრო. აქ კვლავ გამოვლინდა უზენაესის ნიჭთა სიჭარბე და ერთმა იქ მყოფთაგანმა იხილა, თითქოს ბაგაში ყრმა იწვა, თითქოს უსიცოცხლო, წმიდანი ღვთისა კი მის გაღვიძებას ლამობდა. ეს ხილვა შორს როდი იყო ჭეშმარიტებისაგან, რადგან ყრმა იესო, რომელიც ბევრმა გულმა დაივიწყა, თავად ყრმის გულმოწყალებით და მისი მონის, წმიდა ფრანცისკეს ღვაწლით, კვლავ გაცოცხლდა და სამუდამოდ დარჩა მათ გულებში“.

ასე დაედო დასაბამი უმშვენიერეს ტრადიციას. დღეს საშობაო ბაგებს იქაც აწყობენ, სადაც თითქოს სიხარულის დრო არ არის. მაგრამ სანთელი და კელაპტარი, რომელიც ყრმა იესოს ბაგას დაჰნათის, ომის ქარცეცხლში თუ სიღატაკის ჯურღმულში მყოფ ადამიანთა გულებსაც ანათებს და სასოებას უბრუნებს.

წმიდა საყდრის ხელშეწყობით უკრაინელი მოზარდი სამშობლოში დაბრუნდა

იტალიის ეპისკოპოსთა კონფერენციის გამოცემის, Avvenire-ს ცნობით, მარიუპოლიდან გატაცებული მოზარდი ბოგდან ერმოხინი სამშობლოში დაბრუნდა. მარიუპოლის აღების შემდეგ ოკუპანტებმა იგი ჯერ დონეცკში, შემდეგ კი მოსკოვში გადაიყვანეს. მარტში მოზარდმა ბელარუსის გავლით უკრაინაში გაქცევა სცადა, მაგრამ დაკავებულ იქნა რუსეთის ძალოვნების მიერ. უკრაინაში წმიდა საყდრის სამოციქულო დესპანის, მთავარეპისკოპოს ვისვალდას კულბოკასის განცხადებით, ბოგდან ერმოხინის საქმის შესახებ „რუსეთის ხელისუფლებას კარდინალ ძუპის მისიის ფარგლებში ეცნობა“. Avvenire იტყობინება, რომ „წმიდა საყდრის მისიის ფარგლებში შესაძლებელი გახდა საუბარი უკრაინელი ბავშვების სამშობლოში დაბრუნების მექანიზმის შემუშავების აუცილებლობის შესახებ“. მოზარდის რეპატრიაციისას მოსკოვის აეროპორტში საგანგებოდ იქნა მოწვეული წმიდა საყდრის დესპანი რუსეთში, მთავარეპისკოპოსი ჯოვანინი დანიელო.

ისრაელელი მძევლის დედამ უწმიდეს ფრანცისკეს მადლობა გადაუხადა

„წმიდა მამაო, გმადლობთ, რომ ღაზაში ლამის ცოცხლად დამარხული შვილების გამოხსნაში გვეხმარებით. ჰამასის მძევლები სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები არიან: მუსლიმები, იუდეველები, ქრისტიანები, ინდუისტები, ბუდისტები. ისინი ადამიანები არიან. ყოველი მათგანი ღვთის შვილია. ჩვენ ძალიან ვაფასებთ, რომ თქვენ ცდილობთ მათ დაბრუნებას სახლებში, ოჯახებში“, - ასეთი სიტყვებით მიმართა უწმიდეს პაპს რაქელ გოლდბერგ-პოლინმა, რომლის შვილი, ჰერშ გოლდბერგ-პოლინი 7 ოქტომბერს ჰამასის დაჯგუფებამ

მძევლად აიყვანა. რომის ეპისკოპოსმა არაერთხელ მოუწოდა ჰამასს მძევლების დაბრუნებისკენ. „დაუყოვნებლივ გაათავისუფლეთ მძევლები. მათ შორის ხომ ბევრი ბავშვია. ისინი თავიანთ ოჯახებს უნდა დაუბრუნდნენ“, - განაცხადა ფრანცისკემ თავის ერთ-ერთ მოწოდებაში.

უწმიდესი ფრანცისკე საფეხბურთო კლუბ „სელტიკის“ მოთამაშეებს შეხვდა

„რა თქმა უნდა, სპორტში წაგებას მოგება სჯობს. თუმცა ეს არ არის მთავარი. მთავარი ისაა, რა მაგალითს აძლევთ სხვებს წაგებისას ან მოგებისას, საფეხბურთო მოედანზე თუ მის მიღმა. „სელტიკის“ დაარსების მიზანი ქალაქ გლაზგოს გაჭირვებული მოსახლეობის დახმარება იყო. სამწუხაროდ, იმ დროიდან ფეხბურთში ბევრი რამ შეიცვალა და ახლა სპოტრის ეს სახეობა ფინანსური სარგებლის მიღების წყაროდ იქცა. მაგრამ თქვენ, როგორც ამ გუნდის პირველ წევრთა მემ-

კვიდრეებს, დიდი პასუხისმგებლობა გეკისრებათ. ახალგაზრდებისთვის მისაბაძ მაგალითად უნდა იქცეთ. მათ თქვენში მხოლოდ სპორტსმენები კი არ უნდა დაინახონ, არამედ გულისხმიერი ადამიანები, რომელთაც წარმატების შედეგად მიღებული სარგებლის გონივრულად განკარგვა შეუძლიათ“.

საფეხბურთო კლუბი „სელტიკი“ 1887 წელს შოტლანდიელმა კათოლიკე მღვდელმა, მარისტი ძმების ორდენის წევრმა, ძმა უოლფრიდმა დააფუძნა. უოლფრიდის მიზანი გუნდის დახმარებით გლაზგოს ღარიბი მოსახლეობისთვის სახსრების შეგროვება იყო. დღეს როგორც თავად გუნდი, ისე მისი გულშემატკივრები აქტიურ საქველმოქმედო საქმიანობას ეწევიან.

„ეკოლოგიური კონვერსია 2030“. საბოლოო მიზანი: ნახშირბადის ნულოვანი გაფრქვევა

ამ ინიციატივის ფარგლებში წმიდა საყდარმა Volkswagen-თან თანამშრომლობის დაწყების შესახებ გამოაცხადა. „ეკოლოგიური კონვერსია 2030“ მხოლოდ ვატიკანის ავტოპარკის განახლებით, ანუ ავტომობილების ელექტრომობილებით ჩანაცვლებით როდი შემოიფარგლება. ინიციატივა მოიცავს ისეთ მასშტაბურ პროგრამებს, როგორიცაა ელექტრომობილების დამუხტვის სადგურთა ქსელის მოწყობა, ტყეების დაცვა-გაშენება, განახლებული წყაროებიდან მოპოვებული ენერგიის იმპორტი.

ნუგზარ ბარდაველიძე

ივერიის ღვთისმშობლის მოზაიკური ფრესკა ვატიკანში

2023 წლის 28 ნოემბერს ვატიკანის ტერიტორიაზე არსებულ ბაღში, თვალსაჩინო ადგილზე აღმართულ სტელაზე, განთავსდა ივერიის ღვთისმშობლის მოზაიკური ფრესკა, რომელიც ივერიის სასწაულმოქმედი ხატის ზუსტი ასლია და სპეციალურად რომის პაპ ფრანცისკესთვის სამახსოვროდ შეიქმნა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ივერიის ღვთისმშობლის მოზაიკური ასლის ავტორია ბატონი ამირან ბაკურაძე, რომელიც წლების წინ მოზაიკის სპეციალობას სწორედ ვატიკანში დაეუფლა და შემდგომ საქართველოში არაერთი ტაძარი დაამშვენა. ღონისძიებამ ორ დღეს გასტანა, ჯერ ერთ-ერთ სასახლეში, მეორე დღეს კი უშუალოდ ვატიკანის ბაღის ცენტრალურ შესასვლელში, მოზაიკით შემკული სტელას გახსნის დროს.

ეს ფაქტი ფართოდ გაშუქდა ქართულ მედიაში და საქართველოს ევროინტეგრაციულ გზაზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად წარმოჩინდა. მოზაიკური სტელას აღმართვას საქართველოდან საგანგებოდ ჩასული მრავალრიცხოვანი დელეგაციაც დაესწრო, სადაც როგორც სამთავრობო, ასევე საასულიერო მაღალი რანგის პირები იყვნენ წარმოდგენილნი. თუმცა უცნაურია, რომ ამ მრავალრიცხოვან დელეგაციაში არ გამოინახა არცერთი ადგილი საქართველოს ადგილობრივი კათოლიკე ეკლესიის წარმომადგენლისათვის. არადა, როდესაც წმიდა საყდრის საერთაშორისო მასშტაბით თანადგომისა და მხარდაჭერის მოპოვება გსურს, საქართველოს ადგილობრივი კათოლიკე ეკლესიის იგნორირება, რომელიც მსოფლიო კათოლიკე ეკლესიის განუყოფელი ნაწილია, ეფექტურ დიპლომატიურ ნაბიჯად ვერ მიიჩნევა. მით უმეტეს, რომ საქართველოს ადგილობრივი კათოლიკე ეკლესია იმართება უშუალოდ რომის პაპის სამოციქულო ადმინისტრატორის მიერ, რომელიც პირდაპირ ექვემდებარება წმიდა საყდარს. ამ ვითარებაში, ცოტა არ იყოს, გასაკვირია, საქართველოს დელეგაციაში, რომლის მიზანიც ვატიკანისაგან მხარდაჭერის მოპოვებაა, არ იწვევ საქართველოში წმიდა საყდრის სამოციქულო ადმინისტრატორ ეპისკოპოსს. ეს ფაქტი უნებური ორმაგი სტანდარტის გამოვლენაა, როდესაც წმიდა საყდრისგან გსურს თანადგომა, ხოლო მის ნაწილს - ადგილობრივ კათოლიკე ეკლესიას ჯეროვნად არ აფასებ, სწორედ ამაზეა ნათქვამი ქართული ანდაზა ,,ფიცი მწამსო...“ ვიმედოვნებთ, რომ ახლო მომავალში საქართველოს ადგილობრივი კათოლიკე ეკლესიისა და ქართველი კათოლიკე მრევლის იგნორირება ისტორიას ჩაბარდება და კათოლიკეებს მეტი შესაძლებლობა მიეცემათ სრული მასშტაბით ჩაერთონ ყველა იმ წამოწყებაში, რაც საერთაშორისო დონეზე ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ ხორციელდება.

გთავაზობთ საქართველოს დელეგაციის მონაწილეთა გამოსვლებიდან მცირე ამონარიდებს, რომლებიც სწორედ კათოლიკე ეკლესიას, წმიდა საყდარსა და საქართველოს შორის ისტორიულ მეგობრობასა და ურთიერთპატივისცემას ეხება.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა თუ რა მნიშვნელობას იძენს საქართველოსთვის, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების პროცესში, ვატიკანის ტერიტორიაზე ქართული ხატის გამოფენა: „უნიკალური შესაძლებლობა გვეძლევა უძველესი ქართული კულტურა ხელოვნების მსოფლიო შედევრებს შორის წარმოვადგინოთ წმიდა საყდარში, მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული ღირებულებების მატარებელ სივრცეში“. მინისტრმა განსაკუთრებით აღნიშნა რომის პაპ ფრანცისკესა და საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, ილია მეორის, განსაკუთრებული ღვაწლი ივერიის ღვთისმშობლის ხატის მოზაიკის ასლის ვატიკანის ტერიტორიაზე განთავსების ისტორიული გადაწყვეტილების რეალიზებაში და, საქართველოს მთავრობის სახელით, პაპ ფრანცისკეს მადლობა გადაუხადა ამ უაღრესად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაში შეტანილი მისი პირადი წვლილისთვის. მან ასევე მადლობა

გადაუხადა წმიდა საყდართან საქართველოს ელჩს, მის სამეფო უდიდებულესობას, ბატონიშვილ ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანბატონს და წმიდა საყდრის გოვერნატორატის პრეზიდენტს, მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას, კარდინალ ფერნანდო ვერჯეს ალძაგას აღნიშნული ინიციატივის რეალიზაციისათვის.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხათუნა თოთლაძე: „დღეს ჩვენ ვსარგებლობთ შემთხვევით და აღვნიშნავთ საქართველოსა და წმიდა საყდარს შორის არსებულ მტკიცე მეგობრობას, რაც განპიროვნებულია ისტორიის მრავალი მოვლენით და ღრმად არის ფესვგადგმული ქრისტიანულ კულტურაში. გარდა ამისა, ჩვენი ორი სუვერენული სახელმწიფო იზიარებს მშვიდობისა და სტაბილურობის ფასეულობებს, როგორც უზენაეს ნორმებს, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს სახელმწიფოს ქმედებები, ისევე, როგორც სამყაროს ხედვა, სადაც დომინირებს ტოლერანტობა, პატივისცემა და ურთიერთგაგება. ისტორიულად მართლმადიდებელი და კათოლიკე ქრისტიანები გვერდიგვერდ იდგნენ საქართველოს აღორძინების გზაზე და კათოლიკე ეკლესია ყოველთვის იყო ჩვენს ქვეყანაში ევროპული ღირებულებებისა და ცოდნის გავრცელების წინა პლანზე. დღეს წმიდა საყდარი არის საქართველოს ევროპული გზის, ჩვენი ქვეყნის მრავალწლიანი და ცივილიზაციური არჩევანის მტკიცე მხარდამჭერი.

ვატიკანში საქართველოს ელჩი ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანბატონი: ,,ივერიის ღვთისმშობლის ხატის სტელა იდგმება ვატიკანის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით გამორჩეულ და ხელმისაწვდომ ადგილას. ეს არის შედეგი იმ ძმური სიყვარულისა და მეგობრული ურთიერთობისა, რაც ერთმანეთის მიმართ აქვთ მის უწმიდესობას, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსა და რომის პაპს. მათ ეს მრავალჯერ გამოუხატავთ და დაუდასტურებიათ... მართლაც სასიხარულო ფაქტია, რომ ჩვენი უძველესი ისტორიის ნაწილი დაიდებს ბინას ასევე უძველესი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, იმ ქვეყნისა, რომელთანაც საქართველო საერთო იდეებსა და ღირებულებებს იზიარებს“.

ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტმა, მეუფე დანიელმა შეკრებილებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის, მისასალმებელი წერილიც გააცნო: „თქვენო უწმიდესობავ, ღრმა პატივისცემითა და ძმური სიყვარულით მოგესალმებით თქვენ და აქ შეკრებილ საზოგადოებას და სიხარულით აღვნიშნავ, რომ დღევანდელი დღე კიდევ ერთი დასტურია იმ მეგობრული და ჭეშმარიტად ძმური ურთიერთობისა, რომელიც ჩვენს ქვეყანასა და ვატიკანის სახელმწიფოს, საქართველოს ეკლესიასა და რომის საყდარს შორის უძველესი დროიდან ჩამოყალიბდა, ჩვენს ეპოქაში კი პაპ იოანე-პავლე II-ის მოღვაწეობისას განახლდა, ხოლო თქვენს პერიოდში ამ დამოკიდებულებამ კიდევ უფრო მეტი სიღრმე შეიძინა. თქვენო უწმიდესობავ, სასულიერო დასის წარმომადგენელნო, დანო და ძმანო, რომში და, საერთოდ, იტალიაში მცხოვრებნო ჩვენო თანამემამულენო, მჯერა, დღეს ხარობენ ძმები, - წმ. პეტრე მოციქული და წმ. ანდრია პირველწოდებული, - ჩვენს ეკლესიათა საფუძველდამდებნი“.

წმიდა საყდრისა და კათოლიკე ეკლესიის მიმართ გამოთქმული ამ თბილი სიტყვების შემდგომ, ვიმედოვნებთ, რომ წმიდა საყდარსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა კიდევ უფრო ნაყოფიერი გახდება, ხარისხობრივად ახალ დონეზე ამაღლდება და ქართველი კათოლიკეებიც კონფესიური ნიშნით უთანასწორო დამოკიდებულებას აღარ იგრძნობენ. რაც შეეხება ვატიკანის ბაღში ივერიის ღვთისმშობლის ხატის მოზაიკური პანოს გამოფენას, ამ მოვლენით გამოწვეულ სიხარულს საქართველოს კათოლიკეები სრულად ვიზიარებთ და იმედიანად ვუყურებთ საქართველოს ევროპულ მომავალს.

შოთა გიჟოშვილი

თბილისელი კათოლიკე გერმანიაში მუდმივ დიაკვნად აკურთხეს

ერიკ ამბარიანი, რომელიც თბილისის წმ. პეტრესა და წმ. პავლე მოციქულთა ტაძრის მრევლის წევრი იყო, გერმანიაში პერმანენტულ (მუდმივ) დიაკვნად აკურთხეს.

ერიკ ამბარიანი 1976 წლის 16 თებერვალს დაიბადა თბილისში და აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. იგი თბილისის წმიდა მოციქულების პეტრესა და პავლეს ტაძრის მრევლის წევრი იყო.

ამ სამრევლოში მამა იან სნეჟინსკისა და მამა ადამ ოხალის მოღვაწეობის დროს, 1995 წელს, ის რუსეთში, სანკტ პეტერბურგის სასულიერო სემინარიაში გაგზავნეს და იყო პირველი ეპარქიული სემინარიელი. სრული ოთხწლიანი კურსის შემდეგ, 1999 წელს, მან დატოვა სემინარია და დაქორწინდა ირინა გალინინაზე. მათ შეეძინათ სამი შვილი: დავითი, ბერნადეტა და რაქელი.

2009 წელს ერიკ ამბარიანი, ოჯახთან ერთად, რუსეთიდან გერმანიაში გადავიდა საცხოვრებლად, ხოლო 2010 წლიდან განაგრძო ღვთისმეტყველების შესწავლა ფრაიბურგში.

2012 წლიდან კი თერთმეტი წელი ემზადებოდა დიაკვნობისათვის და 2023 წლის 26 ნოემბერს ხელდასხმულ იქნა ქალაქ ბულში, ფრაიბურგის არქიეპარქიაში. ხელდასხმის დროს, კანდიდატის გარდა, დიაკვნად კურთხევაზე თანხმობა მისმა მეუღლემაც განაცხადა, სიტყვებით: „დიახ, მსურს“, რაც განსაკუთრებული ფორმაა ქორწინებაში მყოფი პერმანენტული დიაკვნების ხელდასხმისას.

დიაკვნად კურთხევის ცერემონიალს თბილისიდან ესწრებოდნენ ერიკის დედა და ძმა.

მამა გაბრიელე ბრაგანტინი

სახარების პირველი სიხარული საშობაო საგალობლებში

რა ლამაზია საშობაო საგალობლები! როგორ ამშვენებენ ამ დღეების რელიგიურ თუ საზოგადო დღესასწაულებს: თავიანთი მელოდიურობითა და სიტყვებით რამხელა სიხარული და სიმშვიდე მოაქვთ დღესაც ამ პირველი უწყების გამეორებით: „გახარებთ დიდ სიხარულს: დღეს დავითის ქალაქში თქვენთვის იშვა მაცხოვარი...“ (იხ. ლუკა 2, 1-14);

ადამიანთა სიყვარული იესოსადმი მართლაც რომ მრავალფეროვნად იქნა ასახული მუსიკაში, ლოცვით, საზეიმო განწყობით თუ ყურის საამებლად. საშობაო საგალობლები ალბათ ხალხური ღვთისმოსაობის ერთ-ერთი უმაღლესი ფორმაა - ის სახარებიდან გამომდინარე სიხარულის ნაყოფია. სწორედ ამ საყოველთაო სიხარულის გაზიარების შედეგად ვითარდებოდა საუკუნეების მანძილზე საშობაო საგალობლები და სიმღერები, რელიგიური თუ ხალხური ტრადიციების ნაზავით, დაწყებული ლათინური საგალობლებით, რომლებშიც მოცემული იყო ღრმად თეოლოგიური სიტყვები, მუსიკა კი - სადღესასწულო; IV საუკუნიდან მოყოლებული, ამ საგალობლებს პირველ საშობაო წირვებზე ასრულებდნენ.

რომაულ ეკლესიაში ერთ-ერთი პირველი საშობაო საგალობელი „Veni, Redemptor Gentium“ (მოდი, ხალხთა მხსნელო) შეადგინა მილანის ეპისკოპოსმა, წმიდა ამბროსიმ (340-397); ბერძნულ ეკლესიაში კი ჰიმნი „Phos Hilaron“ (მხიარული ნათელი), დიდი ალბათობით, შეიქმნა III-IV საუკუნეებში. XIII საუკუნეში წმ. ფრანცისკე ასიზელმა ახალი სულიერება შესძინა საშობაო საგალობლებს, იგი, უპირველესად, ყურადღებას ამახვილებდა ყრმა იესოს თავმდაბალ შობაზე, მისი ადამიანური ბუნებით; სწორედ წმ. ფრანცისკეს მიმდევრებმა დაწერეს ადგილობრივ ენაზე პირველი საშობაო საგალობლები, სადაც იესოს შობის სცენას დიდი სითბოთი იხსენებდნენ და მას ხშირად ასეც უწოდებდნენ: „ჩვენი ტკბილი პატარა ძმა“.

კიდევ ერთი წმიდანი მე-17 ს-ში, წმიდა ფრანცისკეს კვალდაკვალ, ალფონსო მარია დე ლიგუორია (1696-1787). მან შექმნა ყველასთვის საყვარელი საშობაო საგალობელი: „Tu scendi dalle stelle“. XIV ს-ში გერმანიაში ფართოდ გავრცელდა იტალიურ საშობაო ტრადიციებთან დაკავშირებული მრავალი საგალობელი. მათ ეწოდებოდა „Weihnachtslieder“. ინგლისურად საშობაო საგალობელი გამოიხატება სიტყვით „Carol“, რომელიც მომდინარეობს ძველი ფრანგული სიტყვიდან „Carole“ და მიუთითებს XII ს-ის სოფლური წარმოშობის ცეკვაზე: ლა კაროლა. ინგლისური „Carol“-ის ოქროს ხანამ გასტანა XV-დან XVII საუკუნემდე.

ჩვენთვის ცნობილია ამ პერიოდში დაწერილი 500-მდე საშობაო საგალობელი. 1816 წელს მამა ჯოზეფ მორმა შექმნა საგალობელი „Stille Nacht! Heilige Nacht!“ (ზეციური ვარსკვლავი), რომელიც ჩვილების იავნანაა და ბავშვს აძინებს „ზეციურ სიმშ-

ვიდეში“. ეს მარტივი საგალობელი 140-ზე მეტ ენაზე ითარგმნა. მრავალი საშობაო საგალობლის მუსიკის წყაროს ხალხური სიმღერები წარმოადგენს; გავიხსენოთ, მაგალითად, მუსიკა „What child is this?“ (ვინაა ეს ყრმა?), რომელიც აღებულია „Greensleeves“-ის ცნობილი ინგლისური ხალხური სიმღერიდან სასმელის შესახებ.

წმიდა იოანე პავლე II-მ საშობაო საგალობლები განმარტა, როგორც „ხალხური ღვთისმოსაობის გამოხატულება... სავსე მუსიკალური, პოეტური და საღვთისმეტყველო სიმდიდრით... საშობაო საგალობლები მხოლოდ ჩვენს ისტორიას როდი ეკუთვნის; გარკვეული თვალსაზრისით, ისინი აყალიბებენ ჩვენს ეროვნულ და ქრისტიანულ ისტორიას“. ქვემოთ შემოგთავაზებთ ყველა დროის ყველაზე ცნობილ საშობაო საგალობლებს, და არა მხოლოდ რელიგიურს:

Puer Natus est Nobis - **იშვა ყრმა** - გრეგორიანული საგალობელი, რომელიც საშობაო წირვის შესავალში სრულდება. ჯ. ტაკერი, რომელმაც კათოლიკობა მიიღო, შემდეგს წერდა: „საუკუნეების მანძილზე შობის დღის პირველი საგალობელი „Puer natus est nobis“ შეუდარებელ ნოტებში გაისმოდა... მეხუთე ინტერვალი, რითაც გალობა იწყება, გრეგორიანულ საგალობელში, ჩვეულებრივ, მნიშვნელოვანი მოვლენის მაუწყებელია... სხვა უკეთესი საგალობელი არც მახსენდება... ეს საგალობელი თავად არის „შობადღე“.

Adeste Fideles (O Come All Ye Fa) - **მოდით, ყოველნო მორწმუნენო** - თუკი „Puer natus“ განსაკუთრებით შესაფერისია გრეგორიანული გალობებისთვის, Adeste Fideles არის ყველა საკრებულოს საგალობელი. ზუსტად არ არის დადგენილი ავტორის სახელი, თუმცა ცნობილია პიროვნება, რომელმაც გადაწერა ტექსტი და მელოდია 1743-44 წლებში. ეს იყო ვინმე სერ ჯონ ფრენსის უეიდი (John Francis Wade), რომელმაც გადაწერა ის ირლანდიური ხალხური სიმღერიდან საფრანგეთის ჩრდილოეთით მდებარე პატარა ქალაქ დუაის კათოლიკეთა გუნდისთვის, ეს ქალაქი იყო უსაფრთხო თავშესაფარი ბრიტანეთის კუნძულებზე დევნილ კათოლიკეთათვის. გარდა ლათინურ ენაზე ორიგინალური ვერსიისა, ცნობილია ასევე ინგლისური ვერსია „O, Come All Ye Faithful“. ის თავდაპირველად თარგმნა ფრედერიკ ოკლიმ, ანგლიკანური ეკლესიის პასტორმა, რომელმაც მიიღო კათოლიკობა.

The first Noel - **პირველი ნოელი** - ამ ტრადიციული ინგლისური საგალობლის წარმოშობა, გარკვეულწილად, სადავოა; სავარაუდოდ, ის დაიწერა კორნუოლში, მე-16-17 საუკუნეების მიჯნაზე, შესაძლოა, უფრო ძველიც კი იყოს. საგალობლის ცხრა სტროფში მოთხრობილია სხვადასხვა ეპიზოდის შესახებ, რომელიც თან ახლდა „პირველ“ შობას: უწყება მწყემსებისთვის, ანგელოზთა გალობა, სამი მოგვის მოსვლა, ენით გამოუთქმელი სიხარული, რომელიც მოიცავს სამყაროს, მოწვევა იესოს თაყვანსაცემად.

In notte placida - **მშვიდ ღამეს** - ეს საგალობელი ფრანსუა კუპერენის (პარიზი,1668-1733), ცნობილი ფრანგი კომპოზიტორის, კლავესინისტისა და ორგანისტის საორგანო პასტორალიდან არის აღებული, ტკბილხმოვანი გალობა, რომელიც ანტიკური სიმშვიდის ატმოსფეროს ქმნის გულებში იესოს შობის საიდუმლოს მიმართ. „ყველა ყვავილზე უმშვენიერესი ყვავილი“ ორიგინალური სათაური იყო „Nocturne“ (ნოქტიურნი).

Les Anges dans nos campagnes - **ანგელოზები ცეკვავენ ჩვენს სოფელში** - საყოველთაოდ ცნობილი, ტრადიციული ფრანგული ორხმიანი საგალობელი, რეფრენით „Gloria in excelsis Deo“: ავტორი უცნობია, შეიქმნა მე-18 ს-ში, შთაგონებულია შუა საუკუნეების უძველესი საგალობლებითა და სიმღერებით, როდესაც ანგელოზები იწვევენ მწყემსებს, რომ შეუერთდნენ მათ მხიარულ გალობას მაცხოვრის შობის აღსანიშნავად.

I Will Follow Him - **მე მას გავყვები** - ყველაზე ცნობილია ამერიკულ საშობაო საგალობლებს შორის; მალე მან ისეთი დიდი წარმატება

მოიპოვა, რომ მთავარ ამერიკულ ჩარტებში შევიდა. უამრავი ვერსიისა და თარგმანის შემდეგ, და ასევე 1992 წელს ფილმის „Sister Act“ საუნდტრეკში ჩართვის შემდეგ, მან პოპულარობა მოიპოვა, წარმატება ხვდა წილად ჰოლანდიელი დირიჟორის, ანდრე რიეის მეშვეობით (2006).

White Christmas - **თეთრი შობა** - ამ საგალობელს საერთაშორისო აღიარება ბინგ კროსბიმ მოუტანა. ჰარმონიისა და სიმშვიდის სული, რომელიც გადმოდის ჩვენს გულებში, როგორც ზეციდან თოვლის ფანტელები შობის ღამეს, საყოველთაო ხასიათს იძენს. ეს იყო ყველაზე გაყიდვადი სინგლი ისტორიაში: გაიყიდა 50 მილიონზე მეტი ფირფიტა.

Stille Nacht (Astro del Ciel) - **ცის ვარსკვლავი** - ავსტრიული საგალობელი, დაწერილი ზალცბურგელი მღვდლის, ჯოზეფ მორის მიერ, მუსიკის მასწავლებელ ფრანცთან ქსავიერ გრუბერთან (1787-1863) ერთად, 1818 წლის 24 დეკემბერის ცისკრის წირვისთვის, როგორც ჰიმნი მშვიდობისა, რაც მიღწეულ იქნა ევროპაში ნაპოლეონის სისხლიანი ომების შემდეგ. დღესდღეობით ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საშობაო საგალობელი, რომელიც 300-ზე მეტ ენაზეა თარგმნილი.

Tu scendi dalle stelle - **შენ დაეშვები ვარსკვლავებიდან** - საგალობლის ავტორია იტალიელი ეპისკოპოსი, კომპოზიტორი და წმიდანი, ალფონსო მარია დე ლიგუორი (1696 - 1787).

God Rest Ye Merry, Gentlemen - **ღმერთმა დაგასვენოთ, ბატონებო** - XV-XVI საუკუნეების ეს ტრადიციული საშობაო საგალობელიც ინგლისში დაიბადა, ცნობილი გახდა მხოლოდ 1800 წელს. ასევე ნახსენებია ჩარლზ დიკენსის „საშობაო საგალობელში“ („A Christmas Carol“).

Joy To The World - **სიხარული სამყაროს** - ცნობილი ტრადიციული საშობაო საგალობელი შედგენილია 1719 წელს ინგლისური ჰიმნების ავტორის, ისააკ უოტსის (1674-1748) მიერ, რომელმაც 97-ე და 98-ე ფსალმუნები მოარგო გალობას და მესიის მოსვლის სიხარულს მიუძღვნა. მელოდია დაფუძნებულია გერმანელი კომპოზიტორის, გეორგ ფრიდრიხ ჰენდელის (1685-1759) „მესიის“ ერთ-ერთი გუნდის თემაზე, ლოუელ მეისონის (1792-1872) არანჟირებით.

La kalenda di Natale - **საშობაო კალენდა** - შუაღამისას აღვლენილი საშობაო წირვა, რა თქმა უნდა, ბავშვობიდანვე ერთ-ერთი ყველაზე ემოციურია ყველა ქრისტიანისთვის. საშობაო ცისკარს აქვს თავისი განსაკუთრებული, უნიკალური ლიტურგია, რომელიც ყოველწლიურად ნახლდება, მაგრამ მისი ფესვები უძველეს რიტუალებშია. კალენდაც, რომელიც ასევე გამორჩეულია, საგალობელი ლიტურგიული ნაწარმოებია, და ოდესღაც ჟამნთა ლიტურგიის პირველ საათში შედიოდა. ეს იყო ლოცვის დრო, რომელსაც ბერები დილის 6.00 საათზე ასრულებდნენ. სიტყვა კალენდა მომდინარეობს ლათინურიდან kalendae, რაც ნიშნავს ყოველი თვის პირველ დღეს. კალენდა სხვა არაფერია, თუ არა იესოს შობის გამოცხადება, მოთხრობილი იმგვარად, რომ იოანეს სახარების პროლოგს იხსენებს. დღეს რომში,

საშობაო წირვაზე, კალენდას მანამდე გალობენ, სანამ შესასვლელი პროცესია დაიწყება. ჩვენთვის საინტერესოა, რატომ უწოდებენ გურიაში შობას კალანდას; იქნებ ეს ამ რეგიონში კათოლიკე მისიონერების ყოფნის შედეგია?

იავნანა - იოჰანეს ბრამსის კომპოზიცია ფორტეპიანოსა და სოლისტისთვის შექმნილი 1868 წელს. მისი ნამდვილი სახელწოდებაა Guten Abend, gute Nacht - „საღამო მშვიდობისა, ღამე მშვიდობისა“. ეს არის მარტივი და ნაზი საბავშვო იავნანა.

Deck the halls (Orna Le Sale) - **მორთეთ დარბაზი**

Ave Maria - **გიხაროდენ, მარიამ** - ვლადიმერ ვავილოვის მიერ 1970 წელს შექმნილი არია. ეს მელოდია შეცდომით მიეწერება ბაროკოს პერიოდის კომპოზიტორს, ჯულიო კაჩინის. ორგანისტ ოლეგ იანჩენკოს მიერ მომღერალ ირინა არხიპოვასათვის არანჟირებული არია 1987 წელს ჩაიწერა და ნაწარმოები მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

Go Tell It on the Mountain - **წადით, აუწყეთ მთაზე**

Oh Holy Nigt - **წმიდა ღამე!** - საშობაო საგალობელი, რომელიც 1847 წელს შეიქმნა პლასიდ კაპოს (Placide Cappeau) ფრანგული პოემის „Minuit, chrétiens“ საფუძველზე, ცნობილია ასევე როგორც „Cantique de Noël“ (ნოელის გალობა). საგალობლის ტექსტი მსმენელს ახსენებს ყრმა იესოს დაბადების მნიშვნელობას, წმინდა ღამის ატმოსფეროს, როგორც დიდ მოვლენას. ითარგმნა ინგლისურად 1855 წელს. „Oh Holy Night“, შესაძლოა, პირველი მუსიკალური ნაწარმოებია, რომელიც რადიოთი გადაიცა. სიმღერა ჩაწერილია სხვადასხვა შემსრულებლის მიერ: ხოსე ფელიციანო, რენატა ტებალდი, პლასიდო დომინგო, ჯორჯ მაიკლი, ლუჩიანო პავაროტი, უიტნი ჰიუსტონი, სელინ დიონი, მაიკლ ბოლტონი, ავრილ ლავინი და ანდრეა ბოჩელი.

Jingle Beels - **ზარების ჟღარუნი** - ტრადიციული საშობაო სიმღერა, დაიწერა 1857 წელს, მაგრამ დროთა განმავლობაში მისი მრავალი ვერსია შეიქმნა. თავდაპირველად გამოვიდა სახელწოდებით In A One Horse Open Sleigh. Jingle Belles არის პირველი საშობაო სიმღერა, რომელიც შესრულდა კოსმოსში.

Hark! The Herald Angelus Sing - **მაცნე ანგელოსების გალობა** - ცნობილი ტრადიციული საშობაო საგალობელი ეფუძნება ლექსს „შობადღე“, რომელიც დაწერა ინგლისელმა პასტორმა და პოეტმა ჩარლზ უესლმა 1739 წელს. ნაწარმოები სრულდება ფელიქს მენდელსონის მელოდიაზე, რომელიც შეიქმნა 1840 წელს საბეჭდი მანქანის გამომგონებლის, იოჰან გუტენბერგის პატივსაცემად. მუსიკალურად აფორმებდა ისეთ ფილმს, როგორიცაა „ქარწაღებულნი“ (1939), „ეს მშვენიერი ცხოვრება“ (1946), „საშობაო საგალობელი“ (2009), ასევე, სათავგადასავლო ფილმის „ჯუმანჯის“ ბოლო ნაწილს.

Came Dance end Sing - **ვიცეკვოთ და ვიმღეროთ**

Los Reyes Magos - **სამი მოგვი**

We Wish You a Merry Christmas - **ბედნიერ შობას გისურვებთ**

რა თქმა უნდა, ამ გრძელ სიაში თავისი ღირსეული ადგილი უნდა ეჭიროს ქართულ საგალობელს **„ოცდახუთსა დეკემბერსა“**, რომელიც, ვიმედოვნებთ, სულ უფრო მეტად გახდება ცნობილი მთელ მსოფლიოში.

გზავნილი მშვიდობის მსოფლიო დღისათვის: 2024 წლის 1-ელი იანვარი

ხელოვნური ინტელექტის (AI Artificial Intelligence) სფეროში მიღწეულმა პროგრესმა ,,ღრმა გავლენა მოახდინა ადამიანის საქმიანობაზე, პირად და სოციალურ ცხოვრებაზე, პოლიტიკასა და ეკონომიკაზე“, - სწორედ ამიტომ რომის პაპ ფრანცისკეს გზავნილის თემა 2024 წლის 1-ელ იანვარს მშვიდობის მსოფლიო დღისათვის იქნება: „ხელოვნური ინტელექტი და მშვიდობა“.

პაპი ფრანცისკე მოუწოდებს ღია დიალოგისკენ ამ ახალი ტექნოლოგიების მნიშვნელობაზე, რომლებიც დამანგრეველ უნარს და ამბივალენტურ ეფექტებს ფლობენ. პაპი მიიჩნევს, რომ აუცილებელია სიფხიზლე და აქტიურობა, რათა ამ ტექნოლოგიების წარმოებასა და გამოყენებაში არ ჭარბობდეს ძალადობისა და დისკრიმინაციის ლოგიკა, ყველაზე უმწეო და გარიყულ ადამიანთა ხარჯზე: უსამართლობა და უთანასწორობა იწვევს კონფლიქტებსა და ანტაგონიზმს. ხელოვნური ინტელექტის კონცეფციასა და გამოყენებაზე პასუხისმგებლობის აღების აუცილებლობა იმისათვის, რომ ჩადგნენ კაცობრიობის სამსახურში და ჩვენი საერთო სახლის დაცვაში, მოითხოვს ეთიკური ჰორიზონტის გაფართოებას განათლებისა და სამართლის სფეროებში. პიროვნების ღირსების დაცვა და მოყვასზე ზრუნვა კაცობრიობის ერთი დიდი ოჯახის მიმართ მზაობით გარდაუვალი პირობაა იმისათვის, რომ ტექნოლოგიურმა განვითარებამ ხელი შეუწყოს სამართლიანობისა და მშვიდობის დამყარებას მთელ მსოფლიოში.

წმიდა საყდარი ყოველთვის ყურადღებით ადევნებდა თვალს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ეთიკურ შედეგებს, მის ირგვლივ გამართულ მსჯელობებში იწვევდა რაც შეიძლება მეტ კომპეტენტურ პირს სამეცნიერო და ტექნოლოგიური სფეროდან, და თანამშრომლობდა სხვა რელიგიებთან. ამ თვალსაზრისით, წმიდა საყდარი გულმოდგინედ ასრულებს თავის მოვალეობებს, თანამშრომლობს ისეთ დიდ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორიცაა გაერო, სადაც ხშირად ხაზგასმით საუბრობს იმ რისკებზე, რაც შეიძლება მოჰყვეს ხელოვნური ინტელექტის ბოროტად გამოყენებას შეიარაღებისა და კონფლიქტის სექტორში. 2024 წელს აღინიშნება 57-ე მშვიდობის მსოფლიო დღე, რომელიც პავლე VI-მ დააფუძნა 1967 წელს და ამას მეთერთმეტედ აღნიშნავს რომის პაპი ფრანცისკე. გასული წლის თემა იყო „მარტო ვერავინ გადარჩება“, ის ეხებოდა Covid-19 პანდემიის შემდგომ მსოფლიოს. წარსულში განხილულ თემებს შორის იყო დიალოგი თაობებს შორის, ზრუნვის კულტურა, სწორი პოლიტიკა და არაძალადობა, მიგრანტებისა და ლტოლვილებისადმი ყურადღება.

მაიკლ ფელპსის ოქრო არ ბრწყინავდა, ვიდრე იგი არ შეხვდა ღმერთს

მაიკლ ფრედ ფელპსი (Michael Fred Phelps), ლეგენდარული ამერიკელი მოცურავე, 23-გზის ოლიმპიური ჩემპიონი, 26-გზის მსოფლიო ჩემპიონი, მრავალგზის მსოფლიო რეკორდსმენი, ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ყველაზე მეტი ოქროს მედლის (33) მფლობელი, დაიბადა 1985 წლის 30 ივნისს, მერილენდის შტატ ბალტიმორში. მისი სპორტული მეტსახელებია ,,ბალტიმორის ტყვია" (The Baltimore Bullet) და ,,მფრინავი თევზი" (Flying Fish). მაიკლის მშობლები გაიყარნენ 1994 წელს, როცა იგი ცხრა წლის იყო. მან ეს ძლიერ განიცადა. მაიკლმა ურთიერთობა გაწყვიტა მამასთან, რომელიც შემდგომ მეორედ დაქორწინდა. საშუალო სკოლის მეექვსე კლასში მყოფ ფელპსს ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის აშლილობის დიაგნოზი დაუსვეს. დის გავლენით მაიკლმა ცურვის შესწავლა შვიდი წლის ასაკიდან დაიწყო. 2001 წელს კი სპორტის მსოფლიო ჩემპიონატზე წყლის სახეობებში, 15 წლის ფელპსი გახდა ყველაზე ახალგაზრდა ადამიანი, რომელმაც დაამყარა მსოფლიო რეკორდი 200 მეტრზე ბატერფლაით სტილით ცურვაში.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში სპორტული მიღწევების წყალობით მაიკლი ყურადღების ცენტრში მოექცა, მასმედიამ იგი გააღმერთა. მაგრამ მედლებმა და მედიის ქება-დიდებამ ვერ ამოავსო ის სიცარიელე, რამაც იგი ლამის თვითმკვლელობამდე მიიყვანა. ფელპსს ყველაზე მეტად სულიერი სიმშვიდის პოვნა სჭირდებოდა. იგი გრძნობდა შინაგან სიცარიელეს და ნარკოტიკებითა და ალკოჰოლით ცდილობდა ტკივილის ჩახშობას. 2009 წელს მაიკლი სამი თვით ჩამოაშორეს ცურვას, მას შემდეგ, რაც მთელ მსოფლიოში გავრცელდა ფოტო, სადაც ჩანს, რომ ის ეწევა მარიხუანას, მაგრამ ამან ვერ შეაჩერა ფელპსის განუწყვეტელი წვეულებები. სინამდვილეში, ყველაფერი კიდევ უფრო გაუარესდა, იგი მეორედ დააპატიმრეს არაფხიზელ მდგომარეობაში მანქანის მართვის გამო. მაიკლი ცხოვრების ფსკერზე დაეშვა. პატიმრობის შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში იგი განმარტოვდა და სმა გააგრძელა. მოგვიანებით, ამერიკულ საერთაშორისო საკაბელო სპორტულ არხ ESPN-თან მიცემულ ინტერვიუში მან აღიარა: ,,სრულებით აღარ მქონდა საკუთარი ღირსების შეგრძნება, საკუთარ თავს ვერ ვაფასებდი. ვფიქრობდი,

რომ სამყარო უჩემოდ უკეთესი გახდებოდა. მეჩვენებოდა, რომ ყველაზე კარგი იქნებოდა, უბრალოდ სიცოცხლე დამესრულებინა“.

ოქროს მედლებმა სიმშვიდე და ნუგეში ვერ მოუტანეს მაიკლს და იგი მიიჩნევდა, რომ ცხოვრების გაგრძელებას არავითარი აზრი აღარ ჰქონდა. მაშინ მისმა ოჯახმა და მეგობრებმა დაარწმუნეს იგი სარეაბილიტაციო ცენტრში ემკურნალა და პირისპირ შეხვედროდა თავის დემონებს. მაიკლი თავიდან წინააღმდეგი იყო, მაგრამ შემდეგ გადაწყვიტა გამოჯანმრთელების გზას დასდგომოდა. ფელპსმა თან წაიღო ცნობილი ამერიკელი ევანგელისტი პასტორის, რიკ უორენის (Rick Warren) პოპულარული ქრისტიანული წიგნი „მიზანდასახული ცხოვრება“ (გამოქვეყნდა 2002 წელს და 50 მილიონზე მეტი ეგზემპლარი გაიყიდა. გაყიდვიდან შემოსული თანხის 90% უორენმა ეკლესიას შესწირა), რომელიც მას აჩუქა ,,ბალტიმორ რავენსის“ (Baltimore Ravens) ყოფილმა მცველმა რეი ლუისმა და ფელპსმა არა მხოლოდ წაიკითხა წიგნი, არამედ სხვა პაციენტებსაც უზიარებდა შთაბეჭდილებებს და ურჩევდა მის წაკითხვას. ამის გამო მას სარეაბილიტაციო ცენტრში მეტსახელად ,,მქადაგებელი მაიკი“ შეარქვეს. საოცრად მადლიერი მაიკლი ლუისს სწერდა: ,,ეს არაჩვეულებრივი წიგნია! ის, რაც ხდება... ღმერთო! ჩემი ტვინი... არცერთი სიტყვა არ იქნება საკმარისი ჩემი მადლიერების გამოსახატავად! შენ გადამარჩინე, სიცოცხლე დამიბრუნე“. ფელპსმა ინტერვიუში განაცხადა, რომ ამ წიგნმა ის რწმენით აღავსო, რომ ,,არის ძალა, რომელიც აღემატება ყოველივეს და ჩემს ცხოვრებას აქვს მიზანი“.

სპორტსმენები კოცნიან თავიანთ მედლებს, რომლებიც მათ მძიმე შრომას ასახავს, მაგრამ ისინი ვერასდროს შეძლებენ მათთვის სიყვარულის მოტანას. მედიის ხოტბა დროებითია, მაგრამ რწმენაზე დაფუძნებული სიყვარული პერსპექტივის მოპოვებაში ეხმარება. რეაბილიტაციის დროს ფელპსმა არა მხოლოდ მოიპოვა რწმენა, მან ასევე შეძლო იმის აღიარება, რომ მისი მტკივნეული განცდები ნაწილობრივ მამის დაკარგვით იყო გამოწვეული, რომელიც თითქმის მთელი ცხოვრების განმავლობაში მის გვერდით არ იყო. როცა მისი მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ, მაიკლი აუზზე ცურვის შესასწავლად წავიდა, ამ ამბით გამოწვეული სიცარიელე რომ ამოევსო. მას შემდეგ კი, რაც წყალი დაიპყრო, ტკივილმა ისევ იჩინა თავი. სარეაბილიტაციო ცენტრში ოჯახური კვირის განმავლობაში ფელპსმა მამასთან ურთიერთობა აღადგინა და აღმოჩნდა, რომ ეს ხანგრძლივი პერიოდი ორივესთვის მკურნალი იყო. ამ ხნის მანძილზე ისინი პირველად გადაეხვივნენ ერთმანეთს და ეს გამოცდილება ფელპსს ცხოვრების გაგრძელებაში დაეხმარა. სარეაბილიტაციო ცენტრიდან გამოწერის შემდეგ რამდენიმე თვეში მაიკლ ფელპსი თავის დიდი ხნის მეგობარ ნიკოლ ჯონსონზე დაქორწინდა. როდესაც მათ პირველი შვილი შეეძინათ და მაიკლმა ხელში აიყვანა ახალშობილი, აღიარა, რომ მიხვდა, რა არის სინამდვილეში სიყვარული.

2016 წელს მაიკლ ფელპსმა განაცხადა, რომ სპორტიდან მიდის. ,,ოცდაოთხი წლის განმავლობაში სპორტის ამ სახეობაში მე შევძელი ყველაფრის გაკეთება, რაზეც ოდესმე ვოცნებობდი. კმაყოფილი ვარ ყოველივეთი, - თქვა მან, - დროა სპორტული კარიერა დავასრულო. ამჯერად უკეთეს ფორმაში ვარ, ვიდრე ოთხი წლის წინ ვიყავი, როდესაც 2012 წლის ოლიმპიადის შემდეგ უმძიმესი დღეები გამოვიარე, მახსოვს, როგორ ვიჯექი მარტო ჩემს ოთახში მთელი ხუთი დღის განმავლობაში მშიერი და თითქმის უძილო, აღარც ვარჯიში მინდოდა, აღარც სიცოცხლე“.

ღვთის მადლით, მაიკლ ფელპსი ცხოვრებას დაუბრუნდა. შეიძლება ის სრულყოფილი არ არის, მაგრამ ახლად შეძენილმა ქრისტიანულმა რწმენამ მის სიცოცხლეს სულ სხვა ელფერი მისცა. თავისი სპორტული წარმატებების წყალობით ის კვლავ კვარცხლბეკზე დგას, მედიაც აღმერთებს, მაგრამ ახლა ფელპსი სულ სხვაგვარად აცნობიერებს თავის ადგილს ცხოვრებაში და იცის, რა არის ნამდვილად მნიშვნელოვანი. მაიკლს ესმის, რომ ოლიმპიური მედლები ვერ შეეწევიან, რამდენიც არ უნდა მოიპოვო.



ქრისტიანთა ერთიანობისათვის ლოცვის კვირეული 2024

„გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი... და მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“

ლუკა 10,27

წლევანდელი კვირეული, რომლის თემა ემყარება ლუკას სახარების ტექსტს: „გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი... და მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ (ლუკა 10, 27), 18-25 იანვარს ჩატარდება. მასალების მომზადება დაევალა ბურკინა-ფასოს ეკუმენურ ჯგუფს, რომელიც შედგებოდა ოუგადუგუს კათოლიკური არქიეპარქიის, პროტესტანტული ეკლესიებისა და ადგილობრივი ეკუმენური ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან; ჯგუფმა ერთობლივი თანამშრომლობით შეადგინა ლოცვებისა და რეფლექსიის ტექსტები.

ბურკინა-ფასო დასავლეთ აფრიკაში მდებარეობს, საჰელის რეგიონში. იგი განთავსებულია 174 000 კვადრატულ კმ-ზე, 21 მილიონი მოსახლეობით, მათ შორის, სამოცი ეთნიკური ჯგუფია. რაც შეეხება რელიგიას, მოსახლეობის დაახლოებით 64% მუსლიმია, 9% მისდევს ტრადიციულ აფრიკულ რელიგიებს, ხოლო 26% ქრისტიანია (20% კათოლიკე, 6% პროტესტანტი). ეს სამი რელიგიური თემი ქვეყნის ყველა რეგიონშია წარმოდგენილი და, პრაქტიკულად, ყველა ოჯახში. ბურკინა-ფასო სერიოზულ კრიზისს განიცდის, რაც ძირს უთხრის პირად და სოციალურ უსაფრთხოებას, კრიზისი ეხება ყველა რელიგიურ თემს. 2016 წელს ქვეყნის გარედან ორგანიზებული ჯიჰადისტური თავდასხმების შემდეგ, ბურკინა-ფასოში უსაფრთხოების პირობები და, შესაბამისად, ქვეყნის სოციალური ერთიანობა, მკვეთრად გაუარესდა.

ქვეყანა ხანგრძლივად განიცდიდა ტერორისტულ თავდასხმებს, უკანონობისა და ადამიანებით ვაჭრობის მძიმე შედეგებს, რამაც სამი ათასზე მეტი ადამიანი შეიწირა და თითქმის ორი მილიონი დევნილად აქცია ქვეყნის შიგნით, დაიხურა ათასობით სკოლა, ჯანმრთელობის ცენტრი და მერია, სოციალურ-ეკონომიკური და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილი განადგურდა. შეიარაღებული თავდასხმების სამიზნედ განსაკუთრებით ქრისტიანული ეკლესიები იქცა: მღვდლებს, პასტორებსა და კატეხისტებს ღვთისმსახურების დროს ხოცავდნენ, ჯერ კიდევ უცნობია გატაცებულ ადამიანთა სვე-ბედი. ამგვარი ტერორიზმის გამო ქრისტიანები ღიად ვერ გამოხატავენ საკუთარ რწმენას. იქ, სადაც ღვთისმსახურება ჯერ კიდევ შესაძლებელია, - ჩვეულებრივ, ეს ხდება დიდ ქალაქებში და პოლიციის მფარველობის ქვეშ, - უსაფრთხოების მიზნით აუცილებელი გახდა ღვთისმსახურების დროის შემცირება. სამწუხაროდ, მიუხედავად სახელმწიფოს და, ასევე,

რელიგიური თემების დიდი ძალისხმევისა, ექსტრემისტული ჯგუფების გავრცელების გამო ქვეყანა კიდევ უფრო მეტად არასტაბილური ხდება. ამის პარალელურად, იზრდება სოლიდარობა ქრისტიანულ, მუსლიმურ და ტრადიციულ რელიგიებს შორის, რომელთა ლიდერები იღვწიან მშვიდობის, სოციალური ერთობისა და შერიგების გრძელვადიანი გადაწყვეტილებების მისაღებად.

საპასუხოდ მთავრობის მოწოდებისა ილოცონ მშვიდობის, სოციალური ერთიანობისა და შერიგებისათვის, ცალკეული ეკლესიები ყოველდღიური ლოცვისა და მარხვისაკენ მოუხმობენ. გარდა ამისა, დევნილთა დახმარების მიზნით, გახშირდა სხვადასხვა კათოლიკური და პროტესტანტული თემების ერთობლივი მუშაობა, შეხვედრების და ცნობიერების ამაღლების გზით, რომელიც მიზნად ისახავს მდგომარეობის უკეთ გაგებას, ძმური ურთიერთობის ხელშეწყობას და ხანგრძლივი მშვიდობის დასამყარებლად სტრატეგიების შემუშავებას. 2024 წლის ქრისტიანთა ერთიანობის ლოცვის კვირეულის ტექსტებზე ერთობლივი სამუშაო ბურკინა-ფასოს სხვადასხვა ეკლესიისთვის იყო და არის ძლიერი გამოწვევა, რომ ქვეყნისთვის ამ რთულ პერიოდში ერთმანეთისადმი სიყვარულით ერთად იარონ, ილოცონ და იღვაწონ.

ბიბლიური ტექსტი - სიყვარულს მთავარი ადგილი უკავია ქრისტიანულ ცხოვრებაში

სიყვარული ქრისტიანული რწმენის დნმ-ია. ღმერთი სიყვარულია და „ქრისტეს სიყვარულმა გაგვაერთიანა“. ჩვენ ვპოულობთ ჩვენს საერთო იდენტობას ღვთის სიყვარულის გამოცდილებაში (შდრ. იოანე 3, 16) და ამ იდენტობას სამყაროში ვავლენთ იმდენად, რამდენადაც გვიყვარს ერთმანეთი (შდრ. იოანე 13, 35). 2024 წლის ლოცვის კვირეულისთვის არჩეულ მონაკვეთში (ლუკა 10, 25-37) იესო იმეორებს ტრადიციულ ებრაულ სწავლებას, რომელიც მოცემულია მეორე რჯულის წიგნში (6, 5): „გიყვარდეს უფალი, ღმერთი შენი, მთელი შენი გულით, მთელი შენი სულით და მთელი შენი ძალით“ და ლევიანთა წიგნში (19,18 ბ): „გიყვარდეს მოყვასი შენი ვითარცა თავი შენი“.

პირველი საუკუნეების მრავალი ქრისტიანი მწერალი - მაგალითად, ორიგენე, კლიმენტი ალექსანდრიელი, იოანე ოქროპირი და ავგუსტინე, - ამ იგავში შეიცნობდნენ ღმერთის ჩანაფიქრის მიმართულებას სამყაროს ხსნისათვის. იერუსალიმიდან მოსულ ადამიანში ისინი ხედავდნენ ადამის ხატებას - და, შესაბამისად, მთელ კაცობრიობას, - სამოთხიდან ჩამოსულს საფრთხეებითა და სისუსტეებით სავსე ამ სამყაროში, ხოლო ყაჩაღებში - მტრულ მიწიერ ძალებს, თავს რომ ესხმიან ,,კაცობრიობას“. თავად ქრისტეში მათ დაინახეს სამარიელი ქალის სახე, რომელიც თანაგრძნობით გამოემართა ნაცემი და მომაკვდავი ადამიანის დასახმარებლად, ჭრილობები დაუმუშავა და წაიყვანა უსაფრთხო ადგილზე, რომელიც ეკლესიის სახე იყო. სამარიელი ქალის დაპირება, რომ იგი დაბრუნდებოდა, განიმარტა როგორც უფლის დაბრუნების აღთქმის წინასწარმეტყველება.

ქრისტიანები მოწოდებულნი არიან მოიქცნენ ქრისტეს მსგავსად - უყვარდეთ ისე, როგორც კეთილ სამარიელს, გამოიჩინონ გულმოწყალება და თანაგრძნობა გაჭირვებულის მიმართ, განურჩევლად მათი რელიგიური, ეთნიკური თუ სოციალური იდენტობისა. თუმცა მოყვასის სიყვარულის ასეთი ხედვა, რისკენაც იესო მოგვიწოდებს, დღევანდელ მსოფლიოში მძიმე გამოცდას გადის. მაგრამ თუ ქრისტიანები, მიუხედავად განსხვავებისა, ერთმანეთისადმი სიყვარულს ისწავლიან, შეძლებენ იქცნენ სხვათა მოყვასად, სახარებისეული სამარიელის მაგალითისამებრ.

იესო ლოცულობდა, რათა მისი მოწაფეები ერთნი ყოფილიყვნენ (შდრ. იოანე 17, 21): სწორედ ამიტომ არ უნდა დაკარგონ ქრისტიანებმა იმედი, ან შეწყვიტონ ერთობისათვის ლოცვა და მოღვაწეობა. როდესაც ისინი ერთად ლოცულობენ, თაყვანს სცემენ და ემსახურებიან ღმერთს, ისინი შეიცნობენ ერთურთს რწმენის ერთსა და იმავე გამოცდილებაში, და მაინც, ამგვარი ცნობიერების განხორციელება ეკლესიებს შორის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ურთიერთობებში, ბურკინა-ფასოშიც (და საქართველოში?) ღია გამოწვევად რჩება. ეკლესიებს შორის ნაკლები კავშირები და ორმხრივი ეჭვები ეკუმენურ გზაზე აღებულ ვალდებულებებს ასუსტებენ. ზოგს შეიძლება ეშინოდეს, რომ ეკუმენიზმი დენომინაციური იდენტობის დაკარგვას გამოიწვევს და შეაფერხებს მათი ეკლესიის „ზრდას“, მაგრამ ეკლესიებს შორის ასეთი მეტოქეობა იესოს ლოცვას უპირისპირდება. ერთიანობისათვის ლოცვის ამ კვირეულის მანძილზე შევთხოვოთ უფალს, რომ შეგვეწიოს, ჭრილობები მოგვიშუშოს და ნება დაგვრთოს, ნდობითა და იმედით გავუყვეთ ეკუმენიზმის გზას.

საშობაო ნაყინი ,,სანდეი“

ნაღების გემრიელი ნაყინის, „სანდეის“, რეცეპტი ამერიკელებმა გამოიგონეს. ამ საშობაოსაახალწლო დესერტს უმატებენ სიროფს, ხილსა და თხილს. სხვათა შორის, ყველაზე დიდი ნაყინი „Sundae“ - 24908,8 კგ - 1988 წელს დაამზადა ფირმამ „Palm Dairys“, რისთვისაც გამოიყენა 20270,7 კგ ნაყინი, 4394,4 კგ სიროფი და 243,7 კგ ხილი.

ინგრედიენტები:

75 გ ხმელი მოცვი
75 გ ხმელი შტოში (კენკრა)
100 მლ ლიმონის ლიქიორი
400 გ ქიშმიშის, ალუბლის ჩირის, ცედრის, ნიგოზისა და ნუშის, დარიჩინის, მიხაკის ნარევი (ტრადიციული შიგთავსი საშობაო პუდინგებისთვის, ღვეზელებისა და დესერტებისთვის)
300 მლ ნაღები
3 სუფრის კოვზი ფორთოხლის დაჭრილი ცუკატი
მწიკვი დაფქული ჯანჯაფილი (კოჭა)
2 ლაიმის ცედრა
1 ფორთოხლის ცედრა და წვენი
1 კგ ვანილის ნაყინი
8 ცალი მერინგი („ბეზე“)
ახალი პიტნა

მომზადება:

მოცვსა და შტოშს დაასხით ლიმონის ლიქიორი და დატოვეთ 10 წუთი. ხილის ნარევი გაათბეთ დაბალ ცეცხლზე, ურიეთ მანამ, სანამ დარბილდება. გადმოდგით ცეცხლიდან. დაუმატეთ ლიქიორით გაჟღენთილი მოცვი და შტოში და გააგრილეთ.

ათქვიფეთ ნაღები მიქსერით. დაუმატეთ ცუკატები, ჯანჯაფილი, ლაიმისა და ფორთოხლის ცედრა, რამდენიმე წვეთი ფორთოხლის წვენი.

მოათავსეთ თასში ვანილის ნაყინი. დაუმატეთ ერთი კოვზი გაცივებული ხილისა და კენკრის ნარევი, ერთი კოვზი ნაღები, ზემოდან მოაყარეთ დაქუცმაცებული მერინგები და მორთეთ პიტნის ფოთლებით.

საშობაო ნაყინი „სანდეი“ შეგიძლიათ მიიტანოთ სუფრაზე გაცივებულ ლიმონის ლიქიორთან ერთად.

მოგვწერეთ თქვენი საშობაო სურვილები

1.
2.
3.
4.
5.

შეგვიძლია ვიყოთ უსინათლონი და გულმშვიდნი!

ეძღვნება ვალერი ოცხელის, ქუთაისის საკრებულოს წევრის, ხსოვნას.

არ მახსენდება იგი პირველ შეხვედრებზე, როდესაც მამა ჯუზეპესთან, აწ უკვე ჩვენს ეპისკოპოსთან ერთად თბილისიდან დროდადრო ჩამოვდიოდი ქუთაისში, ვიდრე 1995 წლის თებერვალში სტაბილურად არ დავიმკვიდრეთ ადგილი. მაგრამ კარგად დამამახსოვრდა მისი ნათლობის დღეს, როდესაც ქრისტეში ჩვენი ახლად შობის საიდუმლოს ეზიარა.

იმ წუთიდან ვფიქრობდი: ეს იყო ჩემს ცხოვრებაში პირველი ზრდასრული ადამიანის ნათლობა, რომელიც 1995 წლის აღდგომას, 16 აპრილს, აღვასრულე ქუთაისში, ბარათაშვილის ქუჩაზე მდებარე სახლში; ლამის ნატვრაც კი იყო. მახსოვს მისი სიხარული, კმაყოფილება, მაგრამ ასევე მისი გაკვირვება და გაუბედაობა; იმ წუთიდან მრავალმხრივ იყო ჩართული ჩვენი ეკლესიის ცხოვრებაში: როგორც ჩვენი ეკლესიის ისტორიის ღრმად მცოდნე, როგორც მრავალი ინიციატივის მონაწილე: კამპოსკოლები, მომლოცველობები ფეხით (როგორც ამბობენ, ფეხით მოიარა მთელი საქართველო), მომლოცველობები რომში, შეხვედრები, დისკუსიები, რჩევა-დარიგებები, როგორც მორწმუნეთა მიერ ყოველ ჯერზე არჩეული საეკლესიო საბჭოს წევრი და სინოდური კრებების მონაწილე; თუ საუბრობდნენ მის სიჯიუტეზე, დაგვიანებაზე, მის ოთახში გროვად დაწყობილ წიგნებზე, ასევე აღნიშნავდნენ მის უბრალოებას, პატიოსნებასა და ცნობისმოყვარეობას; ამბობენ, რომ მან მანამდე შექმნა რამდენიმე ისეთი კომპიუტერული პროგრამა შექმნა, რომელიც მოგვიანებით სხვებმა წარმოადგინეს; რა კარგი იქნებოდა მისი სტუდენტებისა და კოლეგების კიდევ ერთხელ მოსმენა; მათი ინიციატივით, ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის იმ ოთახს, სადაც მან მრავალი წელი გაატარა პროფესორის რანგში, მისი სახელი მიენიჭება. ასეთია მათი სურვილი.

ამაზე ვფიქრობ იქიდან გამომდინარე, რაც ქუთაისის კათოლიკეთა ისტორიის შესახებ გავიგე: და როგორი ისტორიაა! სახელოვანი, კონკრეტული, გენიალური, კოლორიტული... ვის არ სმენია, საქართველოში მაინც, საუბარი ფალიაშვილებზე, ყაუხჩიშვილებზე, ბეთანელებზე, ვარლამიშვილებზე, მიზანდარებზე, ბეგიშვილებზე და... ოცხელებზე? პეტრე ოცხელი, ავანგარდისტი მხატვარი, ქართველი პიკასო, რომელიც 1937 წელს სტალინის რეპრესიებმა შეიწირა სრულიად ყმაწვილი? ან იოსებ ოცხელი, ცნობილი პედაგოგი, ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი? რამდენი სახელოვანი ადამიანი სწავლობდა მის სკოლაში; როცა თბილისში პირველი უნივერსიტეტის დაარსებაზე მსჯელობდნენ,

გადაწყვეტილება სწორედ მის სახლში იქნა მიღებული მათთან ერთად, რომლებიც მომავალში მისი რექტორი და პედაგოგები გახდებოდნენ. აი, ასეთია ბატონი ვალერის წარმომავლობის უძველესი ფესვები; იგი დაიბადა იმ ლამაზ, თლილი ქვით ნაგებ სახლში, რომელიც 1940-იან წლებში პარტიის ბრძანებით დაანგრიეს; სწორედ ამ ადგილზე ააგეს ახალი მართლმადიდებლური ეკლესია, დღეს ქუთაისის მთავარ მოედანს რომ გადაჰყურებს; ეს ლამაზი ქვები შემდეგ წყალტუბოში გადაიტანეს, რათა აეგოთ კიდევ ერთი სახლი, რომელიც დღესაც დგას; მისი მშობლები იყვნენ ნიკოლოზი და ალექსანდრა: ასევე დაფასებული და პატივსაცემი ხალხი. ეს მისი წარსულია, უდავოდ დიდებული, მაგრამ იგი არასოდეს ქედმაღლობდა ამით, თავმდაბლობითა და პასუხისმგებლობით ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. სახარებაში ვკითხულობთ: ,,ნაყოფით იცნობთ მათ“ (შდრ. მათე 7,16).

ძვირფასო ვალერი, უკვე 40 დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან; შენ ახლა უფლის მშვიდობასა და ნათელში განისვენებ; დიახ, ვინაიდან, თუკი ცხოვრების ბოლო წლები სრულ სიბნელეში გაატარე, შენში არ გამქრალა რწმენის ნათელი, ცოდნის სურვილი, სიახლოვის სურვილი. იოლი არ ყოფილა ამ მდგომარეობაში შენთან შეხვედრა, თითქოს ყველაფერს ხედავდი: ყოველგვარი უხერხულობის გარეშე შეგეძლო საუბარი; უცნაურია, მაგრამ ფაქტია; ამიტომაც ვიყავი ყოველთვის შენით აღფრთოვანებული და შთაგონებული; ამ მდგომარეობაში სხვა ალბათ ასეთ კითხვას დასვამდა: რატომ? რატომ მაინცდამაინც მე დამემართა? შენ არასოდეს დაგისვამს ეს კითხვა, არადა შენ ხომ კითხვების დასმის ოსტატი იყავი! იქნებ იმიტომ, რომ არ შემცბარიყავი? იქნებ იმიტომ, რომ ბედისწერის გწამდა? იქნებ იმიტომ, რომ როგორც მიიღე ცხოვრების დანარჩენი ეტაპი, თავისი ცუდითა და თავისი კარგით, ახლაც გინდოდა მიგეღო მშვიდად ცხოვრების ეს ბოლო ეტაპი? ან იქნებ იმიტომ, რომ ეს კითხვა არცკი იყო საინტერესო? არადა რამდენ კითხვას სვამდა ინტერესით: მორწმუნეების, ეკლესიის დაბრუნების, სემინარისტების, მონაზვნების, ეკლესიის ამბების, საბაუნის, ჟურნალ ,,საბას“, ლიტერატურის, რადიოგადაცემების შესახებ; უყვარდა ვატიკანის რადიოს მოსმენა, რადიო ,,თავისუფლების“ პროგრამები, თითქოს მის ცხოვრებაში არც არაფერი შეცვლილიყო, და მაინც, როგორი აუტანელი იყო შენი „გაუჩინარება“ საეკლესიო საბჭოს შეხვედრის მაგიდიდან, იმ ეზოდან, სადაც სიამოვნებით ჩერდებოდი და საუბრობდი და ჩვენი ეკლესიიდან, რომლის ერთგული და აქტიური წევრი იყავი ნათლობის დღიდან! განა არ გექნებოდა წასვლის მიზეზი? მაგრამ შენ დარჩი, მისი სიყვარულით! იქნებ ჩვენშიც დაიბადოს კითხვა იმ მიზეზის შესახებ, ჯერ კიდევ რატომ შემოგვრჩნენ ადამიანები, რომლებიც თავიანთი ცხოვრების ბოლო დღეებს გულმშვიდად ატარებენ და თავიანთი ქრისტიანული ფესვების ერთგულნი არიან?

განსვენება საუკუნო მიანიჭე მათ, უფალო!



გალინა კონკოლოვიჩი
* 10. 05. 1943,
ბელორუსია
† 21. 10. 2023, თბილისი

სოფიო ჩილინგარაშვილი
* 03. 01. 1938, არალი
† 16. 10. 2023, არალი

ვალერი ოცხელი
* 13. 04. 1940, ქუთაისი
† 24. 10. 2023, ქუთაისი



როზმარი თ. ვენეციალე
* 25. 09. 1945, აშშ.
პენსილვანია
† 27. 10. 2023, გორი



ვახტანგ ნალირაძე
* 10. 07. 1947, რუსთავი
† 26. 11. 2023, რუსთავი

ოთარ (გურამი) ხითაროვი
* 01. 07. 1946, ვალე
† 04. 12. 2023, რუსთავი

შოთა მარტიაშვილი
* 08. 04. 1937, უდე
† 07. 12. 2023, უდე



რაზმიგ ხალაჩიანი
* 26. 09. 1945, ოზურგეთი
† 08. 11. 2023, ოზურგეთი

ჟურნალ ,,საბას“ რედაქცია
გიილოცავთ შობა-ახალწელს!
გისურვებთ მშვიდობას, სიკეთეს,
ჯანმრთელობას, წარმატებებს და
ბედნიერებას!

ვულოცავთ საქართველოს
ევროკავშირის წევრობის
კანდიდატის სტატუსის მინიჭებას!

მთავარი რედაქტორი: მ. გაბრიელე ბრაგანტინი CSS
სარედაქციო კოლეგია: ნუგზარ ბარდაველიძე, ვერიკო ნოზაძე, შორენა პარუნაშვილი, მერაბ ღაღანიძე, გივანი ხითარიშვილი
ტექნიკური მხარდამჭერი: მღვდ. მიხეილ ბურმაკა, თამარ სტეფნაძე
მისამართი: ჟურნალ „საბას“ რედაქცია, გია აბესაძის ქ. №4ა 0105, თბილისი, საქართველო;
E-mail: saba.jurnali@gmail.com; რეგისტრაციის №1853, დაარსდა მანანა ანდრიაძის მიერ 1995 წელს, © „საბა“
ISSN 2720-8001